

შპს ავიატორ (404552177)

ფინანსური ანგარიშგება

26.01.2018-31.12.2018

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
2. მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4
4. კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5
5. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს ავიატორ (404552177)

	31-Dec-18
აქტივები	
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები (2)	527,800
სულ გრძელვადიანი აქტივები	527,800
მიმდინარე აქტივები	
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4,187,573
მოთხოვნები სერვისის მომწოდებლების მიმართ (1)	17,068
გადახდილი ავანსები (3)	2,946,992
მარაგები (4)	183,731
სულ მიმდინარე აქტივები	7,335,364
სულ აქტივები	7,863,165
კაპიტალი	
გაუნაწილებელი მოგება	- 13,492,043
სულ კაპიტალი	- 13,492,043
ვალდებულებები	
გრძელვადიანი ვალდებულებები	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები (11)	17,347,045
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	17,347,045
მიმდინარე ვალდებულებები	
საგადასახადო ვალდებულებები (5)	3,420,861
გადასახდელი გადასახადები (6)	44,329
სასესხო ვალდებულება (11)	452,961
კლიენტებისაგან მიღებული ავანსები და წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებები (7)	52,012
ანარიცხები (8)	38,000
სულ მიმდინარე ვალდებულებები	4,008,163
სულ ვალდებულებები	21,355,208
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	7,863,165

დირექტორი

ანასტასია თოფურიძე



მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	Dec-18
სულ შემოსავალი	14,026,378
თვითღირებულების ხარჯები (10)	14,098,154.00
-	-
საერთო მოგება/ზარალი	55,064.51
სხვა შემოსავალი	16,712.00
დასაქმებულთა ანაზღაურება	7,526,034.00
ცვეთა და ამორტიზაცია	37,172.00
საპროცენტო ხარჯი	1,120,220.00
ფართის იჯარა	1,052,457.00
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3,268,564.00
სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები (10)	-
-	13,004,447.00
საოპერაციო მოგება	-
სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	13,059,512.00
წმინდა ზარალი/შემოსავალი სავალუტო ოპერაციებიდან	-
-	432,531.00
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	-
-	13,492,043.00

დირექტორი

ანასტასია თოფურიძე



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	- 13,492,043.10
კორექტირებები:	
ცვეთა და ამორტიზაცია (2)	37,172.00
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებაში	- 17,068.19
ცვლილება მარაგებში (4)	- 183,731.00
ცვლილება ავანსები (3)	- 2,946,992.00
ცვლილება ანარიცხები (8)	38,000.00
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში (5)	3,420,861.46
ცვლილება გადასახდელ გადასახადებში (6)	44,329.15
ცვლილება კლიენტებისაგან მიღებული ავანსები და წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებები (7)	52,012.00
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	- 11,995,002.58
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	564,972.48
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	- 564,972.48
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
გრძელვადიანი სესხები (11)	17,800,005.45
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	17,800,005.45
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	4,187,573.28
ნაღდი ფული	4,187,465.83

დირექტორი

ანასტასია თოფურიძე



კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	2018 წელი
<u>ნაშთი 31.12.2017</u>	-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	13,492,043.10
<u>ნაშთი 31.12.2018</u>	13,492,043.10

დირექტორი

ანასტასია თოფურიძე



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია (ა)

შპს ავიატორი (404552177) რეგისტრირებულია საქართველოში, კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ელენე ახვლედიანის აღმართი N 6. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აზარტული თამაშობანი, ასევე დამატებით საქმიანობას წარმოადგენს კვებითი მომსახურება. კომპანიის დამფუძნებელი არის ივანე თარხნიშვილი 100 % წილის მფლობელი, ხოლო დირექტორი ანასტასია თოფურიძე (01017036441)

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (ბ)

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტურლი აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, ყველა უცხოური ოპერაციის ტრანზაქცია ხდება ქართული ლარში ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსის შესაბამისად. ანგარიშგებაც მომზადებულია ქართულ ლარში

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აზარტული თამაშობანი- კერძოდ სხვადასხვა სამაგიდე და სლოტ თამაშები. თამაშების განხორციელება ხდება კომპანიის მიერ შემუშავებული რეგლამენტის საფუძველზე სადაც არის გაწერილი სათამაშო წესები, პირობები და ვადები. ასევე ამ რეგლამენტის თანახმად კომპანია უფლებამოსილია მოაწყოს ლატარია, რომელსაც აქვს განსაზღვრული საპრიზო ფონდი და რისი გათამაშებაც რეგლამენტის საფუძველზე არის კომპანიის ვალდებულება.

შპს ავიატორის შიდა პოლიტიკის საფუძველზე შექმნილია სააღრიცხვო პოლიტიკა რის მიხედვითაც ხდება მოთამაშეების სეგმენტების განსაზღვრა და მათთვის შესაბამისი მოსმახურების მიწოდება, მათთვის განსაზღვრული ლიმიტების დაწესება, რის საფუძველზეც უფლება ენიჭებათ სასაჩუქრე ფსონების განთავსება ან უფასო კვებითი მომსახურება.

ოპერაციები და ნაშთები (გ)

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით პერიოდისათვის 31.12.2018. კომპანიის აქტივები და ვალდებულებები კონვერტდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში- ლარში შესაბამისი პერიოდის ბოლოსათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტის კურსთა შორის მიღებული შემოსულობები და ზარალები, რომელიც წარმოიქმნება ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და ასევე წლის ბოლოს ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში სებ-ის სავალუტო კურსით

კონვერტაციიდან, აისახება მოგება-ზარალის უწყისში ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც შემოსავალი/ზარალი საკურსო სხვაობიდან.

ფული და ფულის ექვივალენტები- მოიცავს ფულს სალაროში, ფული ბანკში და მცირე სალაროში

(1) **მოთხოვნები სერვისის მომწოდებლების მიმართ - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები**- არის მომხმარებლისაგან მისაღები თანხები, მათი დაფარვის ვადა განსაზღვრულია 30 კალენდარული დღით. კომპანია ფლობს მოთხოვნებს რათა შემოდგომში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები, რასაც აღრიცხავს მათი ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის პირობებში.

(2) **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით შემცირებული მასზე დარიცხული ცვეთის თანხით შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. ხოლო შემდგომი მათზე გაწეული შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განივთვებულ ეკონომიკურ სარგებელს.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების სიმრავლიდან გამომდინარე ხდება მათი დაჯგუფება მათი სტრუქტურის და სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით და შესაბამისად დადგენილია ცვეთის მარჟა. სულ შესყიდული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებამ 31,12,2018-ისათვის 564,972ლარი, რომელიც დაკორექტირდა დარიცხული ცვეთის თანხით.

ძირითადი საშუალებების კატეგორიებისათვის ცვეთის მარჟის მინიჭება ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას და განსაზღვრულია შესაბამისად :

სათამაშო მოწყობილობები 15%

ავეჯი ოფისისათვის 15%

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა- შენობის გაუმჯობესება 15%

კომპიუტერული ტექნიკა და ინვენტარი-20 %

მომრავი ქონება- 20%

სხვა აქტივები- 15 %

2018 წლის 31 დეკემბრისათვის დარიცხული ცვეთა გამოვიდა **37 172** ლარი:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	ცვეთის მარჟა	დარიცხული ცვეთა	ვალუტა
სათამაშო მოწყობილობები	15%	29,839	GEL
კომპიუტერული ტექნიკა და ინვენტარი	20%	4,349	GEL
ავიაციის ოფისისათვის	15%	257	GEL
მსუბუქი ავტომანქანა	20%	1,764	GEL
შენობა- შენობის გაუმჯობესება	15%	147	GEL
სხვა აქტივები	15%	816	GEL
		37,172	GEL

- (3) **გადახდილი ავანსები-** აქ შედის კომპანიის მიერ როგორც მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები, ასევე გადახდილი სალიცენზიო მომსახურების ავანსი. სათამაშო ბიზნესის მოთხოვნების საფუძველზე შპს ავიატორის მიერ გადახდები ხდება კვარტლის ჭრილში, აქედან ლიცენზიის ავანსი 31 დეკემბრისათვის შეადგენს 2 873 558 ლარი, ხოლო 73 474.00 ლარი არის მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები.
- (4) **სასაქონლო მატერიალური ფასეულობები-** მარაგების აღიარება ხდება ბასს 2-ის საფუძველზე- თვითღირებულებით, რაც გულისხმობს მის შეძენასთან და გამომშვებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. მარაგების ჩამოწერა ხდება ფიფო მეთოდის მიხედვით, ამავე სტანდარტის შესაბამისად. მეთოდის თანახმად მარაგების ჩამოწერა ხდება პრინციპით: პირველი- შემოსავალში, პირველი - გასავალში.

ვალდებულებები და კაპიტალი

- (5) **საგადასახადო ვალდებულებები-** ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ბასს 37 -ის სტანდარტის მიხედვით. კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებში მოიაზრება მომწოდებლების მიმართ არსებული დავალიანებები, რომლის დაფარვის ვალდებულება გულისხმობს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინებას. შესაბამისად არსებული გადინება აისახება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში - საოპერაციო ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული და დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღრებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- (6) **გადასახდელი გადასახადები** ეს არის სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არსებული მიმდინარე ვალდებულება რაც საბოლოო ჯამში შეადგენს 44 329,15 ლარს. დარიცხული გადასახადი არის მოსაკრებელი რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას აქვს

გათამაშებული ლატარიის გამოცხადებულ საპრიზო ფონდზე და რისი გადახდის ვალდებულებაც აქვს რეგლამენტით გაწერილი პირობების მიხედვით.

- (7) **კლიენტებისაგან მიღებული ავანსები და წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებები** ეს არის ის გათამაშებული თანხები რომლის აღრიცხვაც ხდება მოთამაშეების მიმდინარე ბარათზე და რისი დაფარვის ვალდებულებაც კომპანიას აქვს მოთხოვნისთანავე.
- (8) **ანარიცხები**- ანარიცხების სახით წარმოდგენილი ვალდებულება ეს არის ვალდებულება მომხმარებლების მიმართ რომელიც წარმოიქმნება გამოცხადებული ლატარიის გათამაშების შედეგად. ანარიცხებად აღიარებულია მომხმარებლის მიერ გაუტანელი ლატარიის გათამაშებული თანხა რომელსაც კომპანია განიხილავს როგორც მიმდინარე ვალდებულებად და აღიარებს მიმდინარე წლის მოგება-ზარალში. კომპანიის პოლიტიკაა რომ დაფაროს ლატარიის გათამაშების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებები 30 კალენდარული დღის ვადაში მომხმარებლებს, თუ ამ პერიოდის მანძილზე არ ხდება თანხების გატანა მომხმარებლების მიერ, კომპანია ახდენს ხარჯების კორექტირებას მოგება-ზარალისა და სხვა შემოსავლების ანგარიშგებაში.

- (9) **შემოსავლის აღიარება** _ შემოსავლის აღიარებისათვის შპს ავიატორის იყენებს ფასს 16, რის მიხედვითაც შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევისთანავე. მომხმარებლების მიერ დადებული ფსონების შესაბამისად. შემოსავლის აღიარება გულისხმობს მოთამაშისაგან მიღებული ანაზღაურების სამართლიან აღრიცხვას, კორექტირებულს უფასო ფსონების, ბონუსების და სხვა კორექტირების გათვალისწინებით. კომპანიის საქმიანობები მოიცავს სამაგიდო თამაშებს, სლოტ აპარატებზე განხორციელებულ აქტივობებს და გამოცხადებულ წამახალისებელ ლატარიას.

კომპანიის აქვს ასევე სხვა შემოსავალი, სადაც აღრიცხულია კომპანიის დამატებითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლი- კერძოდ სტუმრებისათვის კვებითი მომსახურებით მიღებული შემოსავლი, რომელიც ასევე აღიარდება პერიოდის შესაბამისად მოგების ან ზარალისა და სხვა შემოსავლის ანგარიშგებაში.

ამასთან აღსანიშნავია რომ კომპანიაში კვებითი მომსახურების მიწოდება და შემოსავლებში აღრიცხვა ხდება ნოემბრის თვიდან, როდესაც კომპანიამ უშუალოდ დაიწყო საკვები პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია. მომსახურების ამ სახეობისაგან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 16 712 ლარი, რაც მთლიანი გენერირებული შემოსავლის 1 % ია.

- (10) **ხარჯების აღიარება** -ხარჯების აღიარება ხდება მაშინ თუკი სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის გადინება კომპანიიდან და შესაძლებელია თანხის შეფასება საიმედოდ.

კომპანია ლიცენზიის, აპარატების საიჯარო ხარჯსა და ლატარეასთან დაკავშირებულ ხარჯებს განიხილავს როგორც მომსახურების თვითღირებულების ხარჯს და ასახავს შესაბამისად მოგების ან ზარალისა და სხვა შემოსავლების ანგარიშგებაში. ხარჯების აღიარება ხდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიდაც მოხდა მომსახურების შესაბამისი სარგებლის მიღება და აღიარება.

კომპანიის ანგარიშგებაში ხარჯები კლასიფიცირებულია: თვითღირებულების ხარჯად, საოპერაციო და ფინანსურ ხარჯებად და წარმოდგენილია შესაბამისად დანართების სახით:

დანართი 1

თვითღირებულების ხარჯები	<u>14,098,154.18</u>
ლატარიის ხარჯი	4,643,180.56
ლიცენზიის ხარჯი	7,586,503.98
აპარატების საიჯარო ხარჯი	1,819,693.12
სხვა პირდაპირი ხარჯი	48,776.52

კომპანიის საოპერაციო ხარჯებში განხილულია:

დანართი 2

საოპერაციო ხარჯი	11,882,220.86
კომერციული ხარჯი	3,506,206.07
ფართის იჯარა	1,052,457.11
მარკეტინგული ხარჯი	127,843.70
რეკლამა	12,382.07
სტუმრების სარესტორნო ხარჯი	2,178,441.76
სტუმრების ავიაბილეთების ხარჯი	135,081.43
ადმინისტრაციული ხარჯი	8,376,014.79
ხელფასები	5,469,940.25
ბონუსები	1,270,132.45
თანამშრომელთა ბენეფიტები	785,961.35
მივლინების ხარჯი	4,516.40
სარემონტო ხარჯი	73,547.31
კომუნიკაციის ხარჯი	2,040.39
ბანკის საკომისიო	321,354.26
საოფისე ინვენტარი, საოფისე დანახარჯები	115,256.80
წარმომადგენლობითი ხარჯი	54,261.79
საკვებისა და სასმელის ხარჯი	136,956.00
მცირეფასიანი ინვენტარი	2,318.00
ცვეთა და ამორტიზაცია	37,171.83
ტექნიკური დეპარტამენტის ხარჯი	19,865.13
სხვა ხარჯი	82,692.83

ფინანსური ხარჯები:

დანართი 3

ფინანსური ხარჯი	<u>1,120,220.32</u>
საპროცენტო ხარჯი	1,120,220.32

- (11) გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება კომანიის სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა შემოსავლების ანგარიშგებაში როდესაც ჰქონდა ადგილი სესხის მომსახურებას. შპს ავიატორის სასესხო ვალდებულება 2018 წლის 31 დეკემბრისათვის ჰქონდა სს საქართველოს ბანკის მიმართ. სესხის თანხამ შეადგინა 6 481 000 USD რაც ანგარიშგებაში ასახულია ეროვნული ბანკის 31 დეკემბრისათვის გამოცხადებული კურსით – ექვივალენტი ლარში.

სესხის აღება განპირობებული იყო სხვა მსესხებელი კომპანიებისათვის შპს ავიატორისა და შპს სითი ლოფტისათვის(405076304) ვალდებულების დასაფარად და საქართველოს ბანკში აქტიური სესხის რეფინანსირებისათვის.

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულია კომპანიის სავალუტო ოპერაციების განხორციელებით მიღებული ზარალი.

კომპანიისათვის 2018 წელი დასრულდა ზარალით რაც აისახა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში - კაპიტალში- გაუნაწილებელი მოგების მუხლში, ასევე არსებული ზარალი ასახული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში:

კაპიტალი	-
გაუნაწილებელი მოგება	- 13,492,043.36
სულ კაპიტალი	- 13,492,043.36

მოგების გადასახადი ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადებისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. შპს ავიატორის საოპერაციო პოლიტიკა ეფუძნება ესტონური მოდელით მოგების გადასახადით დაბეგვრის სისტემას. ესტონური მოდელით დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ განაწილებული მოგება, შპს ავიატორისათვის 2018 წელი დასრულდა ზარალით შესაბამისად არ მოხდა მოგების გადასახადის - 15 % -ს გადახდა

დამატებული ღირებულების გადასახადი – შპს ავიატორის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით არ ხდება დღგ-ს ჩათვლა, რადგან ყველა ოპერაცია დაკავშირებულია სათამაშო

ბიზნესით შექმნილი ეკონომიკური სარგებლის მიღებასთან, კომპანიის მიერ სრულად ხდება სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებულ შემოსავალზე დარიცხული დამატებული ღირებულების (18 % განაკვეთი) გადახდა.

საშემოსავლო გადასახადი – კომპანიის მიერ აღნიშნული გადასახადით- 20 %-ით დაბეგვრა ხდება შემდეგი ოპერაციების: დაქირავებული პირებისათვის გადახდილი ანაზღაურება, თანამშრომლებისათვის გაწეული სარგებელი- ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი და კვებითი მომსახურება, სხვა დაქირავებული ფიზიკური პირების მიერ გაწეული მომსახურებები.

არარეზიდენტების გადასახადები – უკუდაბეგვრის დღგ- 18 % და საშემოსავლო გადასახადები 20 % -იანი განაკვეთები.

ქონების გადასახადი – გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება კომპანიის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები რაც გაიანგარიშება საშუალო წლიური საბალანსო ღირებულების 1 % იანი განაკვეთით.

კომპანიის რისკები: სავალუტო რისკი- განსაკუთრების აქტიური გახდა 2018 წელს ვალუტის კურსი მერყეობის გამო, სავალუტო კურსებით მიღებული ზარალი საკმაოდ საგრძნობი იყო 2018 წლისათვის. საჭიროა მოხდეს ასევე ვალუტაში არსებული ფულადი მოძრაობის კონტროლი და მისი მასის შემცირება

უსაფრთხოებისა და რეპუტაციის რისკი- სათამაშო ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანიის ამოცანაა მუდმივი ზედამხედველობით და კონტროლით უზრუნველყოს ინფორმაციის დაცულობა და უსაფრთხოება, რისთვისაც უზრუნველყოფს ყველა მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის მკაცრ ზედამხედველობას შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფითა და საჭირო აღჭურვილობებით